ხელშეკრულება №ს08-12.19
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 23 იანვარი 2019წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“ (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის გოჩა მინდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „კარპედიემი+“, წარმოდგენილი დირექტორის ზვიად ნასარიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული საქონელი - შემდგომში საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 7835.50 (შვიდიათას რვაას ოცდათხუთმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს;
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მიწოდებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში;
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ან მთლიანად, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ალიოშა ჯაფარიძის 15
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს საქონელი გადასცეს შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით.

4. საქონლის ხარისხი და ინსპექტირების პირობები

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება/შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი დროულად არ განახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება.

6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 1 მარტამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 406153111, მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ალიოშა ჯაფარიძის 15, ბანკი: ქ. თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა”, ბანკის კოდი: TRESGE22, ა/ნ GE24NB0330100200165022

დირექტორი

გოჩა მინდიაშვილი

_____

(ხელმოწერა) ბ.ა.

მიმწოდებელი:
შპს „კარპედიემი+“. საიდენტიფიკაციო კოდი: 439400943, მისამართი: ქ. თბილისი, სანზონა მე-10ვ კორპუსი, ბინა 7, ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE42BG0000000149944400

დირექტორი

ზვიად ნასარიძე

ხელმოწერა _____
ბ.ა.

დანართი 1 (ხელშეკრულება №ს08-01.19)

№	საქონლის დასახელება და სპეციფიკაცია	CPV	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	მოპის ტილო 60სმ-იანი	39525800	ცალი	200	5.20	1040.00
2	მაგიდის ტილო 38*40	39525800	ცალი	1000	0.43	430.00
3	ტილო ლურჯი პატარა	39525800	ცალი	200	0.85	170.00
4	იატაკის ტილო ლურჯი, დიდი	39525800	ცალი	100	3.20	320.00
5	ჭურჭლის ღრუბელი	39525600	ცალი	200	0.25	50.00
6	სახეხი ღრუბელი, მეტალის	39525600	ცალი	300	0.25	75.00
7	მოპის გუბკა	39525800	ცალი	50	5.90	295.00
8	მოპის ტილო ძაძიანი	39525800	ცალი	50	4.50	225.00
9	ნაგვის პარკი 60 ლიტრიანი	19640000	ცალი	5000	0.148	740.00
10	ნაგვის პარკი 35 ლიტრიანი	19640000	ცალი	12500	0.08	1000.00
11	ლატექსის ხელთათმანი L	18424000	ცალი	470	1.90	893.00
12	ლატექსის ხელთათმანი M	18424000	ცალი	1100	1.90	2090.00
13	სამედიცინო ხელთათმანი	18424000	შეკვრა	35	14.50	507.50
	ჯამი:					**7835.50**

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

გ. მინდიაშვილი ---------- ზ. ნასარიძე----------